ბრძანება:**ბ14. 14240123**
თარიღი:**12/01/2024**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ჯანმრთელობის დაცვა“, ქვეპროგრამის „მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა“ (ღონისძიება - დახმარება შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ შშმ პირთა და ასაკით პენსიონერთათვის გლუკომეტრის ჩხირების შეძენის მიზნით) განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ჯანმრთელობის დაცვა“, ქვეპროგრამის „მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა“ ფარგლებში (ღონისძიება - „დახმარება შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ შშმ პირთა და ასაკით პენსიონერთათვის გლუკომეტრის ჩხირების შეძენის მიზნით“), უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №29 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს:

ა) „მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა“ ქვეპროგრამის ფარგლებში, ღონისძიებით „დახმარება შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ შშმ პირთა და ასაკით პენსიონერთათვის გლუკომეტრის ჩხირების შეძენის მიზნით“ გათვალისწინებული სამედიცინო ვაუჩერის გაცემის და გამოყენების წესი, თანახმად დანართი 1-სა;

ბ) მიმწოდებელ ორგანიზაციასთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი, თანახმად დანართი 2-სა.

2. „მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და

საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა“ ქვეპროგრამის (ღონისძიება - დახმარება შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ შშმ პირთა და ასაკით პენსიონერთათვის გლუკომეტრის ჩხირების შეძენის მიზნით) სამედიცინო ვაუჩერზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური სამსახურის უფროსს.

3. „მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა“ ქვეპროგრამის (ღონისძიება - დახმარება შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ შშმ პირთა და ასაკით პენსიონერთათვის გლუკომეტრის ჩხირების შეძენის მიზნით) ფარგლებში, მიმწოდებელ ორგანიზაციასთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ლელა სურმანიძეს.

4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა უზრუნველყოს „მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა“ ქვეპროგრამის ფარგლებში მიმწოდებელ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების შენახვა, ხელშეკრულების მიმწოდებელი ორგანიზაციისათვის და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურისადმი მიწოდება.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი